დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სკოლაში არის სველი წერტილები გოგონებისათვის (8), ბიჭებისათვის (7), პედაგოგებისათვის განკუთვნილი სველი წერტილი. 2 სველი წერტილი ადაპტირებულია ეტლით მოსარგებლე პირთათვის. ვიზიტის პერიოდში სველ წერტილებში დაცული იყო სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • დათვალიერება;<br>• გადახდის ქვითრები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს სკოლა ჰელიოსში არის ბიბლიოთეკა, რომელშიც ასევე მოწყობილია სამკითხველო 10 მკითხველისათვის. ბიბლიოთეკაში განთავსებულია სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით არჩეული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები და მხატვრული ლიტერატურა. საინვენტარო წიგნის მიხედვით, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენს 1476 ერთეულს. წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ბიბლიოთეკაში შერჩევით გადამოწმდა სკოლის მიერ არჩეული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები. სკოლა ფლობს სასკოლო სასწავლო გეგმით არჩეულ გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს. ბიბლიოთეკაში არ არის წარმოდგენილი პერიოდიკა.<br>თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი. ბიბლიოთეკის სამუშაო საათებია: 10:00 - 18:00 სთ. ბიბლიოთეკარი აწარმოებს წიგნების გატანისა და დაბრუნების აღრიცხვას.<br>სკოლის ბიბლოთეკარის ფუნქციები გაწერილია სკოლის დებულებით. ბიბლიოთეკარის ჩართულობით განხორციელებული ღონისძიებები მოსწავლეთა განათლებისა და ზოგადი წიგნიერების ხელშესაწყობად არ დადასტურდა. სკოლის ბიბლოთეკარის სამოქმედო გეგმა არ იქნა წარმოდგენილი.<br>**სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ ბიბლიოთეკის მუშაობის ეფექტიანი ფუქნციონირებისათვის შემუშავდეს სამოქმედო გეგმა, რომელითაც გაიწერება წიგნის** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ა. კობულაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | <u>**პოპულარიზაციისაკენ მიმართული და წიგნიერების კომპეტენციის განსავითარებელი სასკოლო ღონისძიებები.**</u> |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება;<br>• საინვენტარო წიგნი;<br>• სკოლის დებულება;<br>• ბიბლიოთეკის დებულება;<br>• ბიბლიოთეკართან გასაუბრება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დაწესებულებას მეორე სართულზე ასასვლელი კიბისთვის აქვს მოძრავი პანდუსი დამზადებული. მესამე სართულზე ასასვლელ კიბისთვის პანდუსი არ აქვს. აღსანიშნავია ზოგადად, რომ კიბის დახრილობის კუთხე ისეთია, რომ მასზე პანდუსის დამაგრების შემთხვევაში ეტლით მოსარგებლე ადამიანი დამოუკიდებლად ასვლას ვერ მოახერხებს.<br>სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით და ასევე სკოლის განვითარების ექვსწლიან გეგმის პროექტით 2024-2025 სასწავლო წელს იგეგმება სკოლის შენობისათვის ახალი სასწავლო ფართის დაშენება/განვითარება და მათ შორის დაწესებულების თქმით გათვალისწინებულია ლიფტიც.<br><u>**სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს ინფრასტრუქტურის სრულად მორგება სსსმ მოსწავლეთა საჭიროებებზე.**</u> |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება;<br>• სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმა (პროექტი);<br>• ინტერვიუ ადმინისტრაციასთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. კობახიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| 2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლა ფლობს 21 ლეპტოპს. მათგან 12 განთავსებულია კომპიუტერულ ლაბორატორიაში, ხოლო 9 ლეპტოპი ადმინისტრაციისა და მასწავლებლების სარგებლობაშია.<br>სკოლა არის ინტერნეტით უზრუნველყოფილი. გამოიყენება ელექტრონული ჟურნალი. სკოლის ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლის შესახებ, სკოლის შინაგანაწესი, სასწავლო წლის კალენდარი, საკონტაქტო ინფორმაცია. ვებგვერდზე განთავსებული ბოლო სიახლე თარიღდება 2020 წლის ნოემბრით. ვებგვერდზე აგრეთვე განთავსებულია ინფორმაცია გაცვლითი პროგრამის შესახებ, რომელიც ვიზიტის პერიოდის დროს აღარ იყო რელევანტური.<br>სკოლა საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციით იყენებს გვერდს სოციალურ ქსელში. გვერდზე თავსდება სიახლეები სკოლაში მიმდინარე აქტივობების შესახებ, რომელსაც თან ერთვის მოსწავლეთა ფოტოსურათები.<br>**სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ გამოიყენოს ვებ-გვერდი სიახლეების განსათავსებლად, ვებგვერდიდან წაშალოს ამ დროისთვის ვადაგასული ინფორმაცია, მოსწავლეთა პერსონალური ინფორმაციის დაცვის მიზნით აიღოს მშობლებისაგან ფოტოსურათების განთავსების წერილობითი ნებართვა.** |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • შესყიდვების დოკუმენტაცია;<br>• ვიზუალური დათვალიერება;<br>• ვებგვერდი https://hellioss.edupage.org/a/--11;<br>• Edupage ნასყიდობის ხელშეკრულება 07.09.2021;<br>• გასაუბრება დირექციასთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: |
|---|



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. კობახიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის თანამშრომლებს გავლილი აქვთ საგანგებო სიტუაციების მართვის სასწავლო თეორიული კურსი. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი. თვალსაჩინოდ გამოკრულია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ნომერი. სკოლაში შექმნილია საგანგებო სიტუაციების შტაბი.<br>სკოლა აღჭურვილია 8 ცეცხლმაქრით. ცეცხლმაქრები დამუხტულია და განთავსებულია საევაკუაციო გეგმით განსაზღვრულ ადგილებზე. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის აღრიცხვის ჟურნალები;<br>• შრომის უსაფრთხოების გეგმა, 12.11.2019;<br>• შრომის უსაფრთხოების წესები, 12.11.2019;<br>• შრომის უსაფრთხოების სისტემის დანერგვის ხელშეკრულება შპს „სეიფფლეის“, 05.11.2021;<br>• საგანგებო სიტუაციაში სამოქმედო გეგმა;<br>• სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ ბრძანება, 03.09.2021;<br>• სამედიცინო დახმარების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და ხანძარსაწინააღმდეგი უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესი. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ევაკუაციის გეგმები. საევაკუაციო გეგმა შედგენილია უფლებამსილი ორგანოს მიერ. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ხელშეკრულება ევაკუაციის გეგმების შედგენის შესახებ;<br>• ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან | სკოლას ჰყავს ექიმი. სკოლის დებულებით განსაზღვრულია მისი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. კობულაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | მოვალეობები. ექიმი აღრიცხავს სკოლაში გაწეულ სამედიცინო მომსახურებას. სკოლის ექიმის კვალიფიკაცია (საოჯახო მედიცინა) შეესაბამება №41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანების მოთხოვნებს. სკოლის დებულებით განსაზღვრულია მისი მოვალეობები, რომელთა შორის არის სკოლის სამედიცინო, ჰიგიენურ-სანიტარული პროცესის დაცვის ხელმძღვანელობა.<br>სკოლაში, მეორე სართულზე მოწყობილია სამედიცინო კაბინეტი. კაბინეტში არის სამედიცინო ინვენტარი: სამუშაო მაგიდა, კარადა, მაცივარი, საკაცე, საყინულე ჩანთა, დამცავი ფარი, პირველადი დახმარების ნიღაბი. კაბინეტში განთავსებული იყო ორადგილიანი დივანი.<br>სამედიცინო კაბინეტი უზრუნველყოფილი იყო პირველადი მოხმარების მედიკამენტებით. მედიკამენტები ინახება კარადაში, რომელიც იკეტება. კაბინეტში არ იყო ხელსაბანი, სამედიცინო ტახტი, ბარიერით გამოყოფილი პაციენტის გასასინჯი სივრცე. კაბინეტისთვის განკუთვნილ ოთახს ესაზღვრება სველი წერტილი, რომელშიც არის თხევადი საპნითა და ხელის გასამშრალებელი ერთჯერადი საშუალებებით აღჭურვილი ხელსაბანი.<br>**სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი ბრძანება №41/ნ/01-23/ნ შესაბამისად კაბინეტი აღიჭურვოს სამედიცინო ტახტით, მოეწყოს ხელოვნური ბარიერით გამოყოფილი მცირე გასასინჯი სივრცე.** |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სამედიცინო კაბინეტის დათვალიერება;<br>• ექიმთან გასაუბრება;<br>• ექიმის პირადი საქმე;<br>• წესრიგის დაცვის, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები, მედიკამენტებს შესყიდვის დოკუმენტაცია. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის შინაგანაწესის მე-17, მე-18 და მე-19 მუხლები შეეხება სკოლაში შრომის პირობების დაცვასთან დაკავშირებულ ზოგად ინსტრუქციებს, უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებულ ინსტრუქციებსა და |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. კონჭოშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მექანიზმებს.<br>სკოლა პასუხისმგებელია მოსწავლეთა სიცოცხლესა და ჯამრთელობაზე, სკოლის ტერიტორიაზე მათი ყოფნისა და სკოლის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში მონაწილეობის დროს. დასაქმებულების, მოსწავლეების, მშობლების/კანონიერი წარმომადგენლებისა და სკოლის ტერიტორიაზე მყოფი პირებისათვის შესასრულებლად სავალდებულოა შრომის პირობების დაცვის წესები, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს შრომის კოდექსით, საქართველოს კანონით „შრომის უსაფრთხოების შესახებ" და სხვა ნორმატიული აქტებით, ასევე სკოლის შიდა სამართლოებრივი აქტებით.<br>შესვენებისას და მასობრივი ღონისძიებების ჩატარებისას მასწავლებლები ვალდებულნი არიან იმორიგეონ სკოლაში და მიმდებარე ტერიტორიაზე მორიგეობის გრაფიკის მიხედვით ან დირექტორის განკარგულებით.<br>შინაგანაწესით სკოლა ვალდებულებას იღებს დაიცვას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისად სკოლის დირექტორის ნდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით - ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების" შესაბამისად სკოლის მიერ შემუშავებული და სამინისტროსთან შეთანხმებული წესი. რაც შეეხება თავად აღნიშნულ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესსა და პირობებს" ის ვიზიტის დროს სკოლას შეთანხმებული არ ჰქონდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლა ჰელიოსის დირექტორის 2022 წლის 10 ივნისის წერილი გაგზავნილი ძველი თბილისის რესურსცენტრისათვის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის პროექტის შესათანხმებლად.<br>სკოლაში თვალსაჩინოდ გამოკრულია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ნომერი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • წერილი ძველი თბილისის რესურსცენტრს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის პროექტის შესათანხმებლად, 10/06/2022;<br>• უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის პროექტი; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. კონცელაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • შინაგანაწესი. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| |
|---|
| ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს |

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლის უზრუნველსაყოფად დამონტაჟებულია 11 უსაფრთხოების კამერა. მათგან უსაფრთხოების 8 კამერა აკონტროლებს შიდა პერიმეტრს. სკოლის მიმდებარე ტერიტორია შემოსაზღვრულია. ეზოს შესასვლელში არის ჩიხი, რომელსაც სრულად აკონტროლებს 1 კამერა. სკოლის შემოსაზღვრულ შიდა ეზოს აკონტროლებს 2 კამერა. ამრიგად სკოლის გარე პერიმეტრს ჯამში აკონტროლებს 3 კამერა. შესყიდვის დოკუმენტაციით დასტურდება უსაფრთხოების 12 კამერის ფლობა. ვიზიტის პერიოდში დაინიშნა ვიდეოსამეთვალყურეო კამერების მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ბრძანება N1/კ-33 ვიდეო სამეთვალყურეო კამერების მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი, 15/06/2022 ;<br>• ვიზუალური დათვალიერება;<br>• კამერების ფლობის დოკუმენტაცია. |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| |
|---|
| 2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები |

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დაწესებულებამ წარმოადგინა წესდება და პარტნიორთა კრების ოქმი, რომლითაც დასტურდება, რომ შპს სკოლა ჰელიოსის დირექტორად დაინიშნა ქეთევან ვეშაპიძე. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. კონცელიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | დაწესებულებას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი შინაგანაწესი. შინაგანაწესით განსაზღვრულია: სამუშაო და დასვენების დრო, სასწავლო პროცესის მონიტორინგის წესი, დასაქმებულთა შერჩევის წესი, დასაქმებულთა შრომითი ურთიერთობები, შრომის ანაზღაურების ოდენობა, გაცემის დრო, ადგილი, წესი და პირობები, სამსახურეობრივი მივლინება, შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა/საბოლოო ანგარიშსწორება, წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა, შრომის პირობების, უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვა, განცხადების/საჩივრის განხილვა.<br>ვიზიტის პერიოდში სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შინაგანაწესის მე-4 მუხლის გ პუნქტი, რომლიც მიხედვით „დირექტორს უფლება აქვს მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში მასწავლებელთან შეთანხმებით დართოს გაკვეთილზე დასწრების ნება" გადამუშავდეს იმგვარად, რომ ასეთ შემთხვევაში გათვალისწინებული იყოს ყველა მოსწავლის/მშობლის ინტერესი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ. შინაგანაწესში შევიდა ცვლილება და აღნიშნული ჩანაწერი ჩამოყალიბდა ამგვარად: „დირექტორს უფლება აქვს მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში მასწავლებელთან შეთანხმებით დართოს გაკვეთილზე დასწრების ნება. ამასთან გათვალისწინებული უნდა იყოს ამავე კლასის სხვა მოსწავლეთა მშობლების სურვილი და მათი თანხმობა."<br>სკოლას ასევე შემუშავებული აქვს სკოლის დებულება, რომლითაც განისაზღვრება სკოლი სტატუსი, უფლებამოსილება, მისია და მიზნები, ხარისხის შიდა კონტროლის განხორციელების წესი, უსაფრთხოების ნორმები, სკოლის სტრუქტურა და მართვა, სკოლის სტრუქტურული ერთეულებისა და დასაქმებულთა ფუნქცია-მოვალეობები. სტრუქტურული ერთეულების საქმიანობა რეგულირდება ასევე შესაბამისი დებულებებით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • წესდება;<br>• დებულება, ბრძანება N1/კ -114, 13.09.2021;<br>• შინაგანაწესი, ბრძანება, 03.09.2021;<br>• ბრძანება შინაგანაწესში ცვლილების შეტანის შესახებ N1/კ -134, 17.06.2022; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. კობულაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • სტრუქტურული ერთეულების დებულებები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის განვითარების გრძელვადიანი გეგმა და ახალი 2022-2028წწ (სასწავლო წლებზე გაწერილი) სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტი, ასევე სვოტ ანალიზი.<br>სტრატეგიული განვითარების პროექტში გათვალისწინებულია მატერიალური რესურსების განვითარება, სკოლის ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და ფართის დაშენება.<br>მიმდინარე ერთწლიან გეგმაში დაწვრილებით არის ჩაშლილი თუ რა ვადებში და ვისი პასუხისმგებლობით განხორციელდება სკოლის ორგანიზაციული და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა და განვითარება, სასწავლო პროცესის ეფექტური მართვა, ხარისხიანი სწავლების უზრუნველყოფა, მოსწავლეთა კლასგარეშე აქტივობების მექანიზმების შემუშავება და დანერგვა, პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლება და პროფესიული ზრდის მოტივაცია უსაფრთხო გარემოს შექმნა, შიდა და გარე კომუნიკაცია. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • შპს სკოლა ჰელიოსის ერთწლიანი განვითარების გეგმა;<br>• შპს სკოლა ჰელიოსის სტრატეგიული განვითარების გეგმა;<br>• ინტერვიუ ადმინისტრაციასთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი | სკოლაში დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია საქმისწარმოების წესი. მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა. წარმოებს შესაბამისი ჟურნალები. ჟურნალები დანომრილი, ზონარგაყრილი, |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| მიმოხილვა და ანალიზი | დალუქული და დამოწმებულია სკოლის ბეჭდითა და დირექტორის ხელმოწერით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • საქმისწარმოების წესი, ბრძანება N1/კ - 118, 03.09.2021;<br>• შემოსული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალი;<br>• გასული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალი;<br>• საერთო ბრძანებების, საკადრო ბრძანებების, მოსწავლეთა მოძრაობის ბრძანებების ჟურნალები;<br>• შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | |
| რჩევები: | არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |
| ხარვეზები: | ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში |
| სტანდარტის შეფასება | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **სტანდარტი დარღვეულია** |

### 3. ადამიანური რესურსი

| 3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს სკოლა ჰელიოსის სტრუქტურა მოიცავს დირექციას, პედაგოგიურ საბჭოს, ადმინისტრაციასა და ტექნიკურ პერსონალს.<br>სკოლაში დასაქმებულია დირექტორი, ფინანსური მენეჯერი, დირექტორის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. კობიაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მოადგილე, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, ექიმი, ტექნიკური ბაზის ზედამხედველი, იურისტი, ბუღალტერი, ფსიქოლოგი, დაცვა, დამლაგებელი, მზარეული, მზარეული დამხმარე, საგნის მასწავლებლები.<br>განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზაში ფიქსირდებოდა 12 მასწავლებელი, რომელიც ვიზიტის პერიოდში უკვე აღარ მუშაობდა სკოლაში. სკოლაში გამოცემული იყო ბრძანებები მათთან ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ. ვიზიტის პერიოდში სკოლამ შესაბამისობაში მოიყვანა სკოლაში დასაქმებულ პირთა ბაზაში ასახული ინფორმაცია რეალურ მდგომარეობასთან.<br>სკოლის სტრუქტურული ერთეულების კომპეტენცია და საქმიანობის წესი განისაზღვრება სკოლის დებულებით, სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული სტრუქტურული დებულებებითა და მათთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • EMIS ამონაწერი;<br>• დებულება, ბრძანება N1/კ -134, 17.06.2022;<br>• საშტატო განრიგი;<br>• შრომითი ხელშეკრულებები;<br>• პირადი საქმეები;<br>• დირექციასთან გასაუბრება;<br>• დასაქმებულ პირებთან გასაუბრება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ | |
|---|---|
| პედაგოგთა საერთო რაოდენობა | 29 |
| მოწვეული/მაძიებელი | 1/5 |
| პრაქტიკოსი მასწავლებლი | - |
| უფროსი მასწავლებლი | 15 |
| წამყვანი მასწავლებლი | 1 |
| მენტორის სტატუსი | - |
| შემცვლელი | 6 |
| უსტატუსო | 1 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| 3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | განათლების სისტემის საინფორმაციო ბაზიდან ამონაწერის თანახმად სკოლაში დასაქმებულია 29 მასწავლებელი. მათგან 15 უფროსი, 1 წამყვანი, 5 მაძიებელი და 1 მოწვეული მასწავლებელი.<br>მოწვეული მასწავლებლის ხელშეკრულება გაფორმებულია მუსიკის მასწავლებელის პოზიციაზე. მუსიკის მოწვეულ მასწავლებელს აქვს საგნის სწავლების კომპეტენცია. თუმცა ის ატარებდა მასწავლებლის სრული დატვირთვისათვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საგაკვეთილო საათების 50%-ზე მეტს, 10 საათს.<br>ვიზიტის პერიოდში სკოლაში დასაქმებული იყო 6 შემცვლელი მასწავლებელი. მათგან 4 მასწავლებელს ჰქონდა შესაბამისი საგნის სწავლებისთვის საჭირო კომპეტენცია.<br>• ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის პოზიციაზე დასაქმებულ პირს დიპლომით უდასტურდება ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიცია. მას წარმოდგენილი აქვს ცნობა, რომ არის საქართველოს ტაიკვანდოს ი.ტ.ფ. ფედერაციის ინსტრუქტორი.<br>• გეოგრაფიისა და ბუნებისმეტყველების საგნების მასწავლებლის პოზიციაზე დასაქმებულ პირს აქვს პოლიტიკის მეცნიერებების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. მას არ აქვს დადასტურებული საგნობრივი კომპეტენცია.<br>ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის, ასევე გეოგრაფიის და ბუნებისმეტყველების მასწავლებლის პოზიციებზე სკოლას გამოცხადებული აქვს ვაკანსიები.<br>განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში რუსული ენის მასწავლებელს არ უფიქსირებოდა სტატუსი. მას აქვს რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის კვალიფიკაცია და დადასტურებული აქვს საგნობრივი კომპეტენცია. დირექტორის განმარტებით მისთვის სტატუსის მინიჭების შესახებ წარმოება დაწყებულია.<br>სკოლაში დასაქმებულია 5 მაძიებელი მასწავლებელი. ისინი ჩართულნი არიან მაძიებლობის პროგრამაში. თითოეულ მაძიებელ მასწავლებელს ჰყავს |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. კოჩუაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ტუტორი.<br>განათლების მართვის საინფორმაციო ბაზაში ფიქსირდებოდა 6 შემცვლელი მასწავლებელი, მათთან გაფომებულ ხელშეკრულებაში არ იყო მითითებული შემცვლელი მასწავლებლის პოზიცია. თუმცა ხელშეკრულებები გაფორმებული იყო „არსებული ვაკანსიის კვალიფიციური კადრით შევსებამდე.“<br>შინაგანაწესის მიხედვით განსაზღვრულია შრომითი ურთიერთობის გაფორმებისას კანდიდატის მიერ სავალდებულოდ წარმოსადგენი დოკუმენტაცია, რომელთა შორის მოითხოვება ნასამართლეობის ცნობა (მხოლოდ მასწავლებელს) და ცნობა „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ“. დასაქმებულთა პირად საქმეებში წარმოდგენილი იყო შინაგანაწესით განსაზღვრული სავალდებულო დოკუმენტაცია და აღნიშნული ცნობები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • EMIS ამონაწერი;<br>• პირადი საქმეები;<br>• ხელშეკრულებები;<br>• ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი;<br>• ბრძანებების ჟურნალი;<br>• მასწავლებლებთან გასაუბრება;<br>• დირექციასთან გასაუბრება;<br>• http://teacherjobs.ge/;<br>• ბრძანებები მაძიებელი მასწავლებლებისათვის ტუტორების დანიშვნის შესახებ. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი | სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები. დასაქმებულებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში ასევე განსაზღვრულია ხელშეკრულების შეწყვეტის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| მიმოხილვა და ანალიზი | პირობები.<br>შინაგანაწესის მე-10 მუხლი შეეხება წახალისების ფორმებსა და დისციპლინურ პასუხისმგებლობას. მუხლი 15 აკონკრეტებს დასაქმებულთა წახალისების ფორმებსა და დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეებს. აგრეთვე, მოსწავლის დისციპლინური წარმოების საკითხს.<br>დასაქმებულის წახალისებისა თუ სახდელის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სკოლის დირექტორი.<br>დისციპლინური გადაცდომის ჩადენისათვის, დასაქმებულის მიმართ გამოიყენება შემდეგი დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები: წერილობითი გაფრთხილება, საყვედური, ფინანსური სანქციები, სასტიკი საყვედური, დაქვეითება/საათობრივი დატვირთვის შემცირება და სამსახურიდან გათავისუფლება. განსაზღვრულია სანქციების ამოქმედების შემთხვევები. დისციპლინური სახდელის სახით საყვედური/ფინანსური სანქციის ამოქმედების წინაპიროებები დოკუმენტში მკაფიოდ გამიჯნული არ იყო. სკოლას მიეცა რეკომენდაცია სანქციების გამჭვირვალობის მიზნით მკაფიოდ განესხვავებინა ის დისციპლინური გადაცდომები, რომლებიც გახდებოდა საყვედურისა თუ ფინანსური სანქციის გამოყენების წინაპირობა.<br>შინაგანაწესი ასევე განსაზღვრავდა მოსწავლის მიმართ დისციპლინური წარმოების საკითხს, მოსწავლის დისციპლინური გადაცდომის სახეებსა და სახდელებს. თუმცა შინაგანაწესში არ იყო განსაზღვრული კონკრეტული დისციპლინური სახდელის გამოყენება რომელი დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში მოხდება. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, სანქციების გამჭვირვალე სისტემის შემუშავების მიზნით შინაგანაწესში გაიწეროს მოსწავლებისათვის კონკრეტული დისციპლინური სახდელების დაკისრება რომელი დისციპლინური გადაცდომების შემთხვევაში მოხდება.<br>მოსწავლეს დისციპლინური გადაცდომის ჩადენისათვის შეიძლება დაეკისროს შემდეგი დისციპლინური სახდელები: სიტყვიერი შენიშვნა, წერილობითი გაფრთხილება, საყვედური, გაკვეთილიდან გაძევება, სკოლიდან დროებით დათხოვნა, სკოლისათვის სასარგებლო საქმიანობის დაკისრება, საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგ სკოლაში მოსწავლის დატოვება და დამატებითი დავალების მიცემა მშობლის წინასწარი გაფრთხილებით.<br>ვიზიტის პერიოდში განხილულ იქნა მოსწავლის ინდივიდუალური |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. კოშკაძეილ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მეცადინეობის დისციპლინურ სახდელად გამოყენების რელევანტურობის საკითხი. სკოლამ გადაწყვიტა აღნიშნული სახდელის გაუქმება. აგრეთვე, სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ მოსწავლის დისციპლინური სახდლების შემთხვევაში გაითვალისწინოს ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მე-19 მუხლით დადგენილი წესები.<br>ვიზიტის პერიოდში შინაგანაწესში შევიდა ცვლილება. შედეგად შინაგანაწესში აისახა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები.<br>სკოლას შემუშავებული აქვს შპს სკოლა ჰელიოსის მასწავლებლის ვაკანტური ადგილის დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესი. **დოკუმენტი შესაბამისობაშია მოსაყვანი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტო174/ნ ბრძანებასთან.** კერძოდ, სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტის მე-4 მუხლში არ არის დაკონკრეტებული რომ ვაკანსია საჯაროდ იდება pedagogi, ge თუმცა სკოლას უდასტურდება ვაკანსიების გამოცხადება pedagogi.ge-ზე. წარმოდგენილი წესის თნახმად, კონკურსში მონაწილეობისათვის განცხადების წარდგენა შეიძლება სკოლის საკონკურსო კომისიის მისამართზე, აგრეთვე ელექტრონული საშუალებებით. სკოლის ელექტრონულ მისამართზე hellioss90@gmail.com გამოგზავნით.<br>წესში არ განიხილება შიდა კონკურსი, კონკურსის დასრულების შედეგად ოქმის შედგენა, სკოლაში არ გამოიცემა ბრძანებები ღია კონკურის გამოცხადების შესახებ და სხვა.<br>ინტერვიუს დროს დაწესებულებამ განაცხადა, რომ სარგებლობს pedagogi.ge-ს მომსახურებით, რაც დასტურდება აღნიშნული გვერდის დათვალიერებითაც, თუმცა შესაბამისი კადრის შერჩევას ვერ ახერხებს და დასაქმებული ჰყავს შემცვლელი მასწავლებლები.<br>**სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით სკოლას მიეცა რეკომენდაცია მასწავლებლის ვაკანტური ადგილის დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესი დოკუმენტურად და პროცედურულად მოიყვანოს სრულ შესაბამისობაში კანონმდებლობასთან** |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • შპს სკოლა ჰელიოსის მასწავლებლის ვაკანტური ადგილის დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესი;<br>• შინაგანაწესი, ბრძანება, 03.09.2021; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. კოხულაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • ბრძანება შინაგანაწესში ცვლილების შეტანის შესახებ N1/კ -134, 17.06.2022;<br>• ინტერვიუ დირექციასთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლამ წარმოადგინა მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები და შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი.<br>შრომითი ხელშეკრულებით განისაზღვრება: ხელშეკრულების საგანი, ხელშეკრულების მხარეთა უფლებები და მოვალეობები, შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, სამუშაო დრო, სამუშაო ადგილი და დასვენების დრო, შრომის ანაზღაურების ოდენობა და და მიცემის წესი, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი, მხარეთა პასუხისმგებლობის წესი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი, შინაგანაწესის გაცნობა.<br>მასწავლებლებთან გაფორმებული შრომით ხელშეკრულებები გაფორმებულია N174/ნ ბრძანების შესაბამისად, გათვალისწინებულია შრომითი ხელშეკრულების კატეგორიები და მასწავლებლის ვალდებულებები. ხელშეკრულებაში განსაზღვრულია, რომ სკოლის შინაგანაწესი ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია. დასაქმებულის მიერ ხელმოწერით დადასტურებულია, რომ სკოლის დირექტორმა მასწავლებელს შრომითი ხელშეკრულების დადებამდე გააცნო სკოლის შინაგანაწესი.<br>სკოლაში დასაქმებულ წამყვან მასწავლებელთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია N174/ნ ბრძანებით განსაზღვრული მინიმუმ ოთხი ფუნქცია. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • EMIS ამონაწერი;<br>• გაფორმებული ხელშეკრულებები;<br>• ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი;<br>• დირექციასთან გასაუბრება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. კონცელიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს სკოლა ჰელიოსი დასახული მიზნების მისაღწევად ერთ-ერთ ამოცანად მიიჩნევს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებასა და მათთვის პროფესიული ზრდის მოტივაციის შექმნას. შესაბამისად პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლება სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა, რომელიც მოიცავს შემდეგი აქტივობების ჩამონათვალს: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების გარე მექანიზმებში სკოლის პედაგოგთა ჩართვის წახალისებას, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების შიდა მექანიზმის განვითარებას კათედრების დონეზე, სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელთა თანამშრომლობის გაღრმავება English book education-თან (ტრენინგებში მონაწილეობა, გაკვეთილების მონოტორინგი, მასწავლებელთა მხარდამჭერი ღონისძიებები).<br>სკოლა თანამშრომლობს ორგანიზაციასთან „English book education“ ინგლისური ენის მასწავლებლების პროფესიული მხარდაჭერის მიზნით. მიმდინარეობს კათედრების დონეზე მიღებული ცოდნის გაზიარება, პრაქტიკაში დანერგვის ხელშეწყობა.<br>შპს სკოლა ჰელიოსს შემუშავებული აქვს პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება. წარმოადგენილია ჯგუფის მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია: ოქმები, გაკვეთილზე დაკვირვების ფორმები, ანგარიშები, თვითშეფასება და უკუკავშირი.<br>სკოლას ვთხოვეთ წარმოედინა ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმი. სკოლას შემუშავებული არ ჰქონდა დასაქმებულთა (ადმინისტრაციული, დამხმარე და პედაგოგიური პერსონალი) პროფესიული განვითარების დებულება, რომელიც ასახავდა, თუ როგორ ხდება დასაქმებულთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.<br>სკოლამ წარმოედინა სკოლის თანამშრომელთა პროფესიული განვითარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. მათ შორის საგანგებო სიტუაციების |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მართვის ორგანიზებისა და სახანძრო უსაფრთხოების ტრენინგის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ცნობები სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგების გავლის შესახებ, MACMILAN EDUCATION და ENGLISH BOOK EDUCATION-ის მიერ ორგანზიებული ტრენინგების გავლის სერტიფიკატები.<br>წარმოდგენილი დოკუმენტაციით, პირადი საქმეების შესწავლითა და დასაქმებულებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მასწავლებლები მონაწილეობენ პროფესიული განვითარების ხელშემწყობ ღონისძიებებში.<br>სკოლაში დასაქმებული პედაგოგები რეგისტრირებულები არიან უფროსი მასწავლებლის 20 საათიან ტრენინგზე, რომლის თემატიკა შეეხება კათედრების მუშაობის გაძლიერებას.<br>დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად მიეცა რეკომენდაცია, შეიმუშავოს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმი, რომელიც ასახავს დასაქმებულთა (ადმინისტრაციული, დამხმარე და პედაგოგიური პერსონალი) პროფესიული განვითარების ხელშემწყობ ღონისძიებებს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • პირადი საქმეები;<br>• შპს სკოლა ჰელიოსის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება, 10/10/2021 ბრძანება N1 კ-161;<br>• სკოლის სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი გეგმა (პროექტი), 2022-2028;<br>• მასწავლებლებთან გასაუბრება;<br>• დირექციასთან გასაუბრება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| 3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | როგორც მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან, ასევე მშობლებთან ინტერვიუთი გამოიკვეთა, რომ სკოლაში არის კეთილგანწყობილი, თანამშრომლობითი ატმოსფერო. მოსწავლეებს უყვართ საკუთარი სკოლა იმ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. კობახიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ურთიერთობებიდან გამომდინარე, რაც სწავლის პერიოდში ჩამოუყალიბდათ მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან.<br>მშობლებისთვის სკოლა არის ფიზიკურად და ემოციურად უსაფრთხო და დაცული გარემო, სადაც არ ეშინიათ შვილის გაშვების, ხოლო მასწავლებლებისათვის გარემო სადაც პროფესიული ზრდის ხელშეწყობა, პიროვნების პატივისცემა და თავისუფლებაა.<br>სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებს სხვადასხვა ოლიმპიადებსა და შეჯიბრებებში მონაწილეობის მიღებაში და აღიარებს მათ წარმატებებს, მასწავლებლების შემთხვევაში კი შპს ჰელიოსი არის გარემო, სადაც მათი ყოველი ძალისხმევა დაფასებული და ინიციატივა მხარდაჭერილია. სკოლის სტრუქტურა და ანგარიშვალდებულებების სისტემა ისეა დაორგანიზებული, რომ ხელშეწყობილია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენა და პასუხისმგებლობის გადანაწილება. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ინტერვიუ მოსწავლეებთან, მასწავლებლებთა, ადმინისტრაციასთან;<br>• სკოლის დებულება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | |
| რჩევები: | არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |
| ხარვეზები: | ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში |
| სტანდარტის შეფასება | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. კოშკაძე (ხელმოწერა)
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | |

● თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

## XI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1.განცხადების მიღების ბარათი 2 ფურცელი
დანართი 2. სპორტული დარბაზის ფოტოსურათი 1 ცალი
დანართი 3.კონკურსის ჩატარების წესი 5 ფურცელი

თბილისი 07.07.2022წ.
(შევსების ადგილი) თარიღი
გვერდების რაოდენობა 45



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.